



ხელის-მოწერა მიიღება:

გაზეთის ფასი:

გაზეთით ტფილისში და გარეშე ადგილებში: მარტის წლისა — 7 მან. ნახევრის წლისა — 4 — სამის თვისა — 2 — 50 კ. ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური. „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

მაუგზავნელათ: — — — 6 მან. — — — 3 — 50 კ. — — — 2 —

# დროება

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, ტფილისში და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთაძის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: ВЪ Тифлиси. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეული ბრძიდის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

## საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**შინაბარსი:** — შთაფრობის ტელეგრაფები. — ტფილისი, 1 მარტს. — პოლიტიკა: შეხიკიდან მოსული ამბები. — ტელეგრაფები. — უცხო ქვეყნის ამბები. — საზაზინო განცხადება. — მაჭარობის ამბები. — ლექსი: იმედი.

### მთავრობის ტელეგრაფები

**ტფილისი.** გუბერნატორმა და ტფილისის ოლქის (მაზრის) სასამართლოს თავმჯდომარემ მიიღეს ტელეგრაფები, რომლითაც მათ მოახსენებენ, რომ უმაღლეს მთავრობის ბანებისამებრ თებერვალს 5 უზღდის სამმართველოები და უზღდის მომრიგებელთა სასამართლოები (მიროვოი სუდები) შემდგე ქალაქებში გაიხსნა: ტილაში, სიღნაღში, ბორში, ლუშეთში და ახალციხეში. შევლგან ახალი სასამართლოების დაწესება წრფელის სიხარულით მიუღიათ:

მისის იმპერატორების უმაღლესობას ძვეკასიის ნამესტნიკს მოუვიდა ქვემოხსენებული ტელეგრაფები:

**ქუთაისს,** 18 თებერვალს 8 საათზე 20 მიწუტზე დღისით. უსაზღვრო მადლობის გრძობით აღძრული განთავისუფლებისთვის და მონიჭებული სიმართლისთვის მთელი ქუთაისის გუბერნიის სოფლის მცხოვრებელნი ფორმით ერთის ხმით ცალ-ცალკე საზოგადოებაში დადებულს გადაწყვეტიტ თხოულობენ ჩემიგერ მოხსენებას თქვენის უმა-

### იმედი.

ვინა ხარ შენა, მშვენიერო, მოხვედი სითა; ხარ ამ ქვეყნისა, თუ ციერი მოფრინდი ცითა? შენის მზერითა აქამოდე ვინ დასტებოდა: სა, თუ ცის ქვეშე შენით, ტურფავი, გაბრწყინდებოდა? ვინა ჰგალობდნენ შენს მშვენიერას? — ცისა ციერნი? თუ ფეხმოდრეკით, განკვირვებით აქ ქვეყნიერნი? ხარ ანგელოზნი სამოთხიდგან გამოფრენილი ჩვენ საბრალოთა დასატკობლად აქ მოვლენილი? ან თუ სატანა ჯოჯოხეთმა მოგგზავნა ხმელად, მოგცა შენება, გადმოგადგო გულთ-საენებელად? ან ხარ ასული ამ ქვეყნისა, ვით სხვა ასული, მაგ ლამაზ მკერდ ქვეშ, როგორც სხვათა შენც გიძგერს გული? აბა მაშ გვითხარ: ვით შემკულხარ ეგრეთ მდიდრულით ბარმონითა, სიტურფითა, შენებით სრულით? ვინ ბედნიერმან და სად, როგორ, ეგრეთ აღზარდა, ან ვისი თვალი, შენით მთვრალი მარად გიმზერდა! აღმოსაყვითის ყვაილთ შუა თუ გაიშალე, ან თუ ჩრდილოთ ხარ, წყვიდადს სტუქსე, მოხვედ აქ მაღე? მოგესალმებით ნათლის გულით შენ მშვენიერსა, შენც გაულიმე სიმშვიდითა ძველსა ივერსა, სადაც ბუნებამ დიდებულად ზღვითა და ბართა

ლღესობისადმი, რომ უმაღლესათ სათნო მიიღებოდეს შეწირულება გუბერნიის შუა ადგილს აღშენებისათვის აღექსანდრე ნეველის სახელზე ტაძრისა მეფე-განმათავისუფლებელის პატივისათვის. შეწირულია სამი ათას ორას თუმანზე მეტი. სოფლების საზოგადოებათა დადებულებას სწრაფათ წარმოვიდგენთ.

ბ რ ა ფ ი ლ ე ვ ა შ ო ვ ი .

**ბაშო,** 19 თებერვალს 12 საათზე 20 მიწუტზე დღისით. შევცელილი ადმინისტრაციული და ახალი სასამართლო ადგილები გაიხსნა: ახალი სასამართლოების დასაწყისი და კეთილის მომტანი დღე რუსეთის ერთ დღეში მომხდარი საბედნიერო ნიშნათ არს მიღებული; ყველანი კეთილ-მოწიფებენ ახლის კეთილყოფილობისა წინაშე შევეუსტესის მონარხისა და წინაშე თქვენისა იმპერატორების უმაღლესობის დამამადგენელ მზრუნველობისა.

ბ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ქ ო ლ უ ბ ა კ ი ნ ი .

**ქუთაისი,** 19 თებერვალს 5 საათზე 40 მიწუ. დღისით. სობორში წირვის შემდეგ ცერემონიით გაიხსნა: ახალი დაწესებული ადმინისტრაციული და სასამართლო ადგილები ხალხის კრების თანასწრებითა და თანაგრძობითა. თავად-აზნაურობა თავის წარმომადგენელია პიროვნობით და ქუთაისის მოქალაქენი ითხოვენ ჩემს შუამავლობას თქვენის უმაღლესობის წინაშე, რათა წარდგენილიყვეს კვარცხლბეკთა მისის იმპერატორის დიდებულებისათა უქვეშევრდომისი გრძობის გამოთქმა და უსა-

ზღვრო მათი მადლობა ახალს ცვლილებათა მონიჭებისათვის, რომელიც დღეს შემოვიდა მამობრივის ზრუნვითა თქვენის უმაღლესობისათა.

ბ რ ა ფ ი ლ ე ვ ა შ ო ვ ი .

ტ ფ ი ლ ი ს ი , 1 მ ა რ ტ ს .

ბანსამართლების ნაკლულევენებანი უწინ ყველასათვის ცადი იყო. ძარგი ხანა მმართველობა შეუდგა უმის განხილვას და საფუძელიანთ შევცლას. იმან დანიშნა ამ დიდის საქმის შესასრულებლათ კამისია, რომელიც შემდგარი იყო გამოცდილის და ნასწავლის იურისტებისაგან ძამისია ისე საფუძელიანთ შეუდგამს საქმეს, როგორც იმისი დიდი მნიშვნელობა მოითხოვდა. ჯერ მასალები შეაგროვა, აზრი მოსთხოვა სხვა და სხვა პირებს, სასამართლო ნაწილში, განათლებულის ქვეყნების განსამართლების წესდებულებანი განიხილა და ბევრი კანონები შემოიტანეს იქიდან ახალი წესდებისათვის. შემდეგ რამოდენიმე წლის შრომისა კამისიამ შეადგინა რეაქტი სამოსამართლო წესდებულებისა, რომელიც ჯერ სახელმწიფო რჩევამ საფუძელიანთ განხრიკა და მერმე ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა 20 ნოემბერს 1864 წელს.

ზემოხსენებულნი ნაკლულევენებანი ახალს წესდებულებაში ან გვართ არის მოსაზობილი. 1) პოლიციის და სასამართლოების უფლება

ცხადათ არის გარკვეული. შევლა სამოქალაქო (სადეო) საჩივარი და სასისხლო-სამსჯელო საქმეები ახალს დაწესებულს სასამართლოებში უნდა განიჩიოს. პოლიცია განთავისუფლდა სასამართლო საქმეებისაგან, რომელნიც იმას ძალიან ამძიმებდნენ და ამას იქით იმას ექნება მეტი დრო და საშუალება თავისი პირდაპირი დანიშნულობა შეასრულოს.

2) შადა მოჩივრებისათვის პასუხის შესატანათ და საბუთების წარმოსადგენათ ახალი კანონით შემცირდა. ამასთანავე ამას იქით თეთოთ სასამართლო ადგილები დაიბარებენ მოდავე მხარეებს და მოწმებს. სასამართლო ადგილი თავის იასაულით გაუგზავნის მათ უწყებას, რომლითაც მოსთხოვს მათ პასუხს ან დაიბარებს სასამართლოში დანიშნულს დროს. ამ უწყების მიუღებლობა იმ კაცისაგან, რომელსაც საქმის გაგრძელება უნდა, ამას იქით ისე ადვილი არ იქნება, როგორც აქამდის იყო. თუ ის კაცი, ვისთანაც უწყება არის გაგზავნილი, შინ არ არის ან და დაიშალა, ამ უწყებას მის სახლობას ჩაბარებენ და ხელწერილს ჩამოართმევენ უწყების მიღებაზედ. თუ იმათაც არ მიიღეს, მაშინ კარზედ მიუკერნენ, ან სოფლის მამასახლისის მისცემენ, რომ იმან გადასცეს იმ კაცს, ვისაც ეკუთვნის. ამის შემდეგ იმას არ შეუძლიან, სიქვას უწყება არ მიმიღიოთ და იმით თავი იმართლოს. თუ დანიშნულს ვადაზედ დაბარებული კაცი სასამართლოში არ გამოცხადდა და მოუსყდლობის შესაწყნარებელი მიზნით არ წარმო-

შესამკობელად ფრიალონი წინ აღუშრთა; სადაც მათ წყერნი ცისა კიდეს ებჯინებინ, მელნიცა მარად ყვაილებით იმოსებიან და მათზედ რბიან წალკატ-შუა წყარნი მცინარანდ; აქ სიყვარულსა სტევენ მარად ბულებულნი წყნარნი, რა ფუფუნებით ზამთარ, ზაფხულს, ვარდნი შლილობენ, ღამით ზეფირი, დილით ნამი მახედ ხარობენ. აქა ცა არის ლურჯი, წმინდა, მნათი მარად ქამს; აქა ღვითი და თამარი სულსა კიდევ სწამს; აქ რუსთველისა ლექსნი კვალად ატკობენ ყურსა; აქა ისმენენ ბესიკისას მდერას ციურსა, აი სად მოხვედ და, აქ ყოფნა თუ მოგწონა, მაგიშლით გულსა ფიანდაზად შენ, ფეხთა წინა! იყავ შენება, ნეტარება ივერისა, იყავ ჩვენთვისა ცით ვარსკვლავი, შუქი მთვარისა!

მაგრამ აქ ხშირად ჰპოვებ ტაძართ შენთ დიდებულთა, პალატო ნანგრევთა, მონასტერთა აოხრებულთა: სიხენი, კოშკნი, ფრიალოთაგან გადმოკიდულნი, უსკრულს უმზერენ დარღვეულნი, დატყეპულნი, წმინდა საფლავნი ნანგრევთ შუა ხშირად არიან, მოუხსენებელთ, უპატრონოთ, ტყენი ჰბურვიან.

არ აცხოვლებენ შთენთ და საფლავთ წირვა, ცისკარი, მხოლოდ დროებით მათზედ ჰბერავს გრილით ქარი! რას ნაშენენ შთენნი ეს ნანგრევნი, შენ გსურს იკითხო? მსურს ივერისი შავი ბედი აღმოიკითხო? ჩვენ ნურას ვეკითხავ! ჯვარი არის, (\*) მიდი მის კარსა, რაც ლომობიერმ გულმა გკითხოს ჰკითხე მას ჯვარსა. მირიანის დროს ხელში ეპყრა წმინდა ასულსა, (\*\*\*) აწ ძველს ტაძარში მას იპოვებ წმინდად და ცულისა. ისე არს ჩენი ისტორია და ჩენი ბედი, მკლის გვირგვინი, სასოება და კელავ იმედი. სისხლის ცრემლითა მას ჯვარზედა არს წარწერილი, ჩენის სამშობლოს ბნელის ეტლის მოთხრობა ბნელი, მსურს სცნო მის აზრი, რაც ცრემლითა მაზედ სწერია? აი ის აზრი: „წმინდა ჯვარი და — ივერია!“ მათთვის მხურვალედ მამა-პაპათ გულნი უძგერდნენ, მათ დასაცველად მთელს აზიას მწარედ ებრძოდნენ. „მართის ხელთა წმინდათ ტაძართ, პალატთ ვაგებდით და მეორეთი მტერსა ვცემდით, ხმაღს, — არ ვაგებდით;“

(\*) წმინდა ნინოს ჯვარი ტფილისის სიონში.  
(\*\*) წმინდა ნინოსა

ან სულ გაესწყდეთო და ან მტერთა ვსლიოთ ეგება, სამშობლო მიწა ქართველთ სისხლმა სრულად შეღება! ათასმა მეტმა წელმა ეგრეთ ბრძოლაში განვლეს, დანაშთენთ ძეთა თავის მამულს თვალი აავლეს; მაგრამ კეთილი შენი გული ეხედავ ქმუნვარებს, მაგ ლამაზ თვალში მარგალიტი ცრემლი ელვარებს. ხედავ? მამათგან რაღა დაგერჩა? მათ სამარენი, და მტერთაგანა შემუსერილი მათნი არენი! მართი საუნჯეც დაგერჩენია, — აი ის ჯვარი; მაგრამ ქართველი, მათთვის მოკედეს, კვლავცა მზა არი? ჩენი ივერი, მშვენიერი, არს სისხლისკალო, მმირთა აკლდამი, გულთ საკლავი და საეღალლო!... სული მიკენესის, გული ჩემი მწარედ ლონდება, რა საქართველოს მწარე ბედი მომავონდება; რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მიაშობდა, ის ქამი იყო, საქართველოს სული ჰხდებოდა. აჰა, ირაკლი, გმირთა გმირი, ძახი პატარა, (\*) „შრწმუნოთ მამულს არ მიეცემო, არ მიეცემო, არა!“ იბრძვის მთა-ბარში, წინ და უკან, იბრძვის შედ მტკვარზედ, (\*) ირაკლის კახელები ეძახდნენ პატარა ძახსა.



დგინა, მაშინ კანონისამებრ მოიქცევა. თუ ეს დაბარებული პირი მოასახეხა სადაც საკმეში ან და ბრალდებულია მცირე სასისხლო-სამსჯავრო საქმეში, ეს საქმე მის დაუსწრებლობა გადაწყდება; თუ ის ბრალდებულია მძიმე სასისხლო-სამსჯავრო (უგოლოცის) საქმეში, მაშინ იმას ძალით მოიყვანენ სასამართლოში. დაბარებული მოწმეები თუ არ მოვიდნენ დანიშნულ ვადაზედ, ჯარიმა გადახდებოდა. ამ გვარათ ყველანი ვალდებული და იძულებულ იქნებიან სასამართლოში დროზედ მივიდნენ და საქმისათვის საჭირო ცნობები წარუდგინონ; საქმეც არ გაჩერდება, თავის მსვლელობა ექნება და მალე გათავდება. სასამართლო თავის განაჩენს ამას იქით ასრულებს მოიყვანს საკუთარს მოხელე პირების საშუალებით, რომელთაც ჰქვიათ სამოსამართლო ბოქაულები (სუდებში პრისტაეი). როცა მოსამართლე გადაწყვეტს საქმეს, თუ გამტყუნებულმა პირმა არ დააკმაყოფილა თავისი მოდავე, მაშინ ამ უკანასკნელს მიეცემა სასამართლოსაგან ანაზღაურება ელი ფურცელი, რომელიც ძალითაც სამოსამართლო ბოქაული ასრულებს მოიყვანს სასამართლო განაჩენს. თუ გამტყუნებულმა მხარემ თავის ნებთ ამის შემდეგაც მალე არ დააკმაყოფილა თავის მოდავე, სამოსამართლო ბოქაული ძალით ჩამოართმევს მას მამულს, თუ ის უძრავია ან თუ რამე სხვა ნივთია, და თუ ფულზედ არის დავა, მაშინ აუწყებს მას ქონებას, ვაჟყიდის და იმით დააკმაყოფილებს საქმის მომგებს.

3) ინსტანციების რიცხვი ახალი წესით შემცირდა. ამას იქით საქმე განიხილება ან ერთს და ან ორს ინსტანციაში: მცირე საქმეები ერთის სასამართლოს განხილვით გადაწყდება, იმაზედ აველაციის შეტანა არ შეიძლება, და უფრო დიდი ორს სასამართლოში გაიჩვენება. მართს სასამართლოში რომ საქმე გადაწყდება, თუ რომელიმე მხარე დარჩა იმის განჩინებაზე უკმაყოფილო, შეუძლიან უმაღლესს სასამართლოში შეიტანოს ამაზედ აველაცია. ეს გვარე სასამართლო კი დაბოლოებით გადაწყვეტს საქმეს. სამოსამართლო წესდებულ-

ბაში 20 ნომბრისა 1864 წელსა შემოტანილი არის ერთ-გვარი საჩივრის შეტანა სასამართლოს გადაწყვეტილობაზედ, რომელიც აქამდის არ არსებობდა რუსის კანონებში. ეს არის საკასაცო საჩივარი. ძასაცია პირველათ შრანციაში დაწესდა, შემდეგ ის იქიდან გადმოიღეს სხვა განათლებულს სახელმწიფოებში დასავლეთ ევროპაში და ახლა რუსის კანონშიც შემოიტანეს. საკასაცო საჩივარი შეიტანება ხოლმე მხოლოდ დაბოლოების განჩინებაზედ. საკასაცო ინსტანცია თვითონ არა სწყვეტს, არამედ არღვევს სასამართლოს განაჩენს, რასაკვირველია, როცა მიზეზი იქნება, დაუბრუნებს იმავე სასამართლოს, ან სხვას იმის თანასწორს სასამართლო აღიღოს, რომ საქმე ხელ-ახლა განიხილოს და გადაწყვიტოს. ამასთანავე ეს უნდა შევნიშნოთ, რომ საკასაცო ინსტანცია არ შედის საქმის განხილვაში არსებით (по существу) ე. ი. ის არ განიხილავს საქმის გარემოებას და საბუთებს, რომელიც საქმეში არიან მოხსენებულნი. აქხანთ ეს მაგალითით: შიორგი ედავება პეტრეს, რომ იმას იმისი 100 თუმანი მშობრებს და არ აძლევს; მაგრამ თავის საჩივარი ვერ დაამტკიცა საბუთებით. წარმოვიდგინოთ, რომ სასამართლო დასჯერდა ამ საბუთებს და უსაფუძვლოდ გადაწყვიტა, რომ პეტრეს ეს 100 თუმანი გადახდეს. პეტრეს შეუძლიან აველაცია შეიტანოს ამ უსაფუძვლო განაჩენზედ უმაღლესს სასამართლოში; ეს სასამართლო ხელ-ახლა განიხილავს ამ საქმეს და თავის განაჩენს დაწესებს. მსოქვათ, რომ ამ უმაღლესმა სასამართლომ არ დაარღვია პირველი სასამართლოს განაჩენი, ესე იგი თანახმა გახდა ამ განაჩენზედ. ამის შემდეგ პეტრეს აღარ შეუძლიან შეიტანოს მესამე უმაღლესს სასამართლოში საკასაცო არა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ გაამტყუნა ეს და ფულს ახდევინებს. რომ კიდევ შეიტანოს საჩივარი და საკასაცო ინსტანციამ ცხადთ დაინახოს, რომ პეტრე ამ საქმეში მართლია, მაინც ვერ დაარღვევს უწინდელს განაჩენს და უარს ეტყვის იმას. საკასაცო თხოვნა მიიღება მხოლოდ

შემდეგ შემთხვევაში: 1) როცა სასამართლო ცხადთ დაარღვევს კანონის ნამდვილს მნიშვნელობას, ან და ისე არ ახსნის იმას, რა აზრითა დაწერილია; 2) როცა საქმის გარეგანაში მოსამართლე განსამართლების წესს და ფორმას არ ასრულებს. მაგალითებრ, მოსამართლემ რომ არ დაიბაროს მოასახეხ, არ ჩამოართვას იმას პასუხი საჩივარზე და მოჩივრის სიტყვას დაეფუძნოს და ისე საქმე გადაწყვიტოს, ეს იქნება კასაციის მიზეზი. ამ გვარს განაჩენს საკასაცო ინსტანცია უთუოთ დაარღვევს. 3) როცა სასამართლო გამოევა იმ უფლების და უწყების საზღვრიდან, რომელიც კანონით იმას აქვს მიჩემებული. მაგალითათ, კანონით სამხედრო სამსახურში მყოფს კაცს დანაშაულობისათვის სამხედრო სამსჯავრომ უნდა გადაუწყვიტოს სასჯელი. ამისგანთ სამოქალაქო სასამართლომ (ესთქვათ, მომრიგებელმა მოსამართლემ) რომ სამხედრო კაცს დანაშაულობისათვის სასჯელი გადაუქრას, ეს კასაციის მიზეზი იქნება და ამ გვარს გადაწყვეტილობას საკასაცო ინსტანცია დაარღვევს. ძიდე მაგალითით: ტფილისი კაცი ედავება ქუთათურს უძრავს მამულს, რომელიც იმერეთში იმყოფება. ეს საქმე რომ ტფილისის სამაზრო სასამართლომ გადაწყვიტოს, იმის განჩინებასაც საკასაცო ინსტანცია დაარღვევს, ამისათვის რომ კანონით სადავო საქმე უძრავს მამულზედ იმ სასამართლოში უნდა განიხილოს, რომლის მაზრაშიაც ის იმყოფება.

4) ახალი განსამართლების წესით სასამართლოში ყოველი საქმე უნდა გაიჩიოს სიტყვიერათ და სახლობთ. მოდავენი სიტყვიერათ აუხსნიან მოსამართლებს თავიანთ საქმის გარემოებას, სიტყვიერათ შევნიშნა ერთი მეორეს და შემდეგ ამათ ლაპარაკის მოსმენისა მოსამართლები განაჩენს დასდებენ. სასამართლოს კარები ამას იქით განხილნი იქნებიან, ყველას შეუძლიან იქ შევიდეს, დაჯდეს და მოისმინოს, რასაც იქ ლაპარაკობენ, და უყუროს, რასაც აკეთებენ. მხოლოდ ზოგიერთს იშვიათს შემთხვევაში სასამართლოს კარები დაიკეტება და იქ არ შეუშვებენ გა-

რემე პირებს. მაგალითათ, როცა განხილვებში საქმე ქალის პატიოსნობის შეურაცხებაზედ. 5) სასისხლო-სამსჯავრო საქმეებში ბრალდებულის დასაჯვლოთ 20 ნომბრის 1864 წლის წესდებულება არ თხოულობს ფორმალურს დამტკიცებას. ამ წესდებულებით ბრალდებულის (ე. ი. კაცი, რომელსაც აბრალდებენ დანაშაულობის მოხდენას) გამამტყუნებელი საბუთების აწონა თვით მოსამართლებს მიენდობა. მოსამართლებმა უნდა განიხილონ ყველა საბუთები, მოისმინონ ბრალდებულისაგან თავის განსამართლებელი დამტკიცებები, მოწმეების ჩვენება; შემდეგ ეს ყველა უნდა აწონონ, გაჩხრიკონ და სენილისით უნდა გადასწყვიტონ: ბრალდებული დანაშაულია, თუ არა. მოსამართლებმა თუ ბრალდებული დანაშაულათ სცნეს, უნდა სასჯელი გადაუქრან; წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლისაგან უნდა განათავისუფლონ; ექვს ქვეშ დატოვება ამას იქით აღარ შეიძლება. 6) სამოქალაქო სადავო საქმეებს სასამართლო იმ საბუთების ძალით გადასწყვეტს, რომელთაც მოდავე მხარენი წარმოადგენენ; ამას იქით თვითონ სასამართლო ამ გვარს საქმეებში აღარ შეკრებს ცნობებს. მოჩივარმა თვითონ უნდა დაამტკიცოს თავის საჩივარი, მოასახეხმა-თავისი პასუხი. ამ მოკლე და სუსტი აწერისაგანაც განსამართლებელის ცვლილებისა მკითხველს შეუძლიან დაინახოს, რა დიდი უპირატესობა აქვს ახალს განსამართლების წესს ძველზე. შითაერესი იმისი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ საქმე ამ წერით მალე გათავდება; გარდა ამისა, უეჭველია, ამას იქით მეტი გარანტია არის, რომ საქმე უფრო სწორეთ და სამართლიანთ გადაწყდება. 20 ნომბრის 1864 წლის წესდებულება მოქმედებაში შევიდა ჯერ პეტერბურგის და მოსკოვის სამოსამართლო მაზრებში 1866 წელს, შემდეგ 1867 წ. — ხარკოვისაში; წელს 19 თებერვალს — ქავკასიის აქეთს მხარეში. ჩვენი ეს წესდებულება შემოვიდა ზოგიერთი ცვლილებით. შემდგომ წუმერში იმაზედ მოვილაპარაკოთ, თუ რა რიგი სასამართლო ადგილები დაწესდა ჩვენში.

ბრძენის ოთხ-კუთხივ, გარეთ და შინ, ზედ თავის კარზედ; მბრძენის ქრისტეს მტერთ, დღე და ღამე არ ხუტავს თვალსა; საფლავს დიდებულს არ ჩაიტანს სამშობლოს ვალსა. მაგრამ ვე დეაწლი დიდი დეაწლი, კარგი, კმა არი! მტერთა დროშებით მოცულია ქალაქის კარი. როგორ თუ კმა? მაშ ირაკლი საყვარელს მამულს ქრისტეს მცნებითა განათლებულს, ბუნებით შემკულს, მისცემს ურწმუნოთ, უომარად სისხლ-და-ულერგლად! წინ მტერი უდგეს არ გავიდეს ბრძოლისა ველად! როგორ? იკისროს, რაც თვით დასცა, სხარსთა მოანება? და შერჩეს კიდევ თვალ-სინათლე, თავში გონება? ან რაღათ უნდა ირაკლისა თავი ცოცხალი, თუ ქართველთ მეფეს დერქმევა ყვენი ვალი? შპირო! სტან ტკბილი განსვენება შენ მხოლოდ იმაჟამს, როცა მართველნი დატირდნენ თელავში შენს გვამს... ბძელი სიცოცხლე ირაკლისა არს ბრძოლა გრძელი, მოსათხოვრებლად, სამშობლად, სათქმელათ ძნელი!

და დასავლეთის ქრისტეს ერნო, თქვენ რას შერებოდით, როცა ქრისტესთვის ჩვენ თვალ წინა დქვენ კარს ეწყდებოდით? თქვენ ირაკლისა ღიმილითა თავსა უკრავდით, რჩევას აძლევდით და ქებობა ტაშსა უკრავდით. შივიანთ საქმეც ბევრი ჰქონდათ თქვენს მამა-პაპათ: შამბორებდნენ ზოგნი რომში თვისთ წმინდა პაპათ. ზოგნი თვისთ მთავართ, აღსრულებდნენ მონებით ნებას, და მათ სასახლეთ, კეკლუტო ღიაცთ უძღვნიდნენ ქებას. და შეილებსაც კი ხშირად გაზნთ შავი ბეჭელი, არ დაიდუმებს ისტორია, ნუ გაქვსთ იმედი! მართლმადიდებელთ წმინდა სისხლი კისერს გედებათ, მაგრამ მოგკითხვენ, მაგიერი როსმე გეგებათ... ბონება ხელობს, გაშმაგებულს აზრი მერევა, სარწმუნოებას გულის ჰმუნვის ძალა ერევა, მაშინ მოყვანო მზა ვარ გკითხოთ, მითხარით ერთი: ნუ თუ მართლა გწამთ, რომ არსებდეს და იყოს... თუ/დაბადება ხამყაროსი იყო მის ნება და თუ ეს აზრი არ არს მტერთა და ცრუ ზმანება; თუ მართლა მნათობთ, ცას და ზღვათა, მათა და ველებს თვისს შექიბ, სიუხვითა ის რცხოველებს; თუ მან დაგებადა, მან გეცა გრძნობა, ქკუა და ცნა; თუ მან ეს ტყენი, ეს მდლონი აღმოაცენა;

თუ თვის ქმნილებათ საზღვარი და კანონი მისცა და სული საღმრთო და ცხოველი შთაბერა და სცა; თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიქების; თუ ნათელი არს და ნათელი ჰქმნარიტების: მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაეგზო? (\*) შენ არ მოგსვლია გულის ეს გმობა პატარა ქხო? როს გადავლე შენ ქალაქსა ავლაბრით თვალი, და დაინახე, ოთხის კუთხით ავარდა ალი! რად მიმაქციე ტურფა სახე, ტურფა ასულო! მწყინა ჩემგან ლეთისა გმობა, იგრძენი სულო. მართლა, რას ეროტავ უბედური და რასა ეყბედავ; მე შემოქმედის განკიცხვასა, როგორა ებედავ? მარ მომაკვდავი, ქმნილი მიწით, მსხვერპლი მიწისა, შთამომავალი ადამისა, თესლი ბიწისა. სიკვდილი მეღის და სიკვდილსა ვერ გავეკცევი; საფლავს მკედარიცლა არ დავრჩები, მიწად ვიქცევი; მბედავ კი მიგწედე მოკლე ჰქუით მალალს ლეთაებას, მსურს უბედურსა, გზა ვუჩვენო ციურსა ნებას; მბედავ, ვიძიწო ზენა სიბრძნე სუსტის ძალითა;

მბედავ განესკვიტო ლეთის განგება ბნელის თვალითა! ლმერთო კეთილო! მომიტყევე შენს დაბადებულს, ნუ მკითხავ გმობას გაშმაგებულს, გულ-დადაგებულს. რა ექნა ცოდვილმა, გულსა და სულს ცეცხლი მედება, რა საქართველო დანგრეული მომელანდება. რა ფიქრს მომივა, თვით ნანგრევიც იქნება განქრენ და მათ სახელნი, მათ ხსენებაც აღარსად და რჩენ! მომიანლოვდა მაშინ ტურფა, მშვიდი ასული, გრძნობითა სახე უბრწყინავდა, უბგრდა გული, მწამდესო, დეაწლი მამა-პაპათ არ განქრებინა; მწამდეს ეს შთენნი დიდებულად იხსენებინა; მართლ-მადიდებელთ ჰქმნარიტი, ლმერთი ძლიერი, მოგფენთ თვისს სხივსა, თვისს სიუხვეს — და თქვენი ერი ქრისტეს ჯვარისთვის წამებული კვლავ განმრავლდება, თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება, ამიერ თქვენთან დავამყარე წმინდა კავშირი, ამიერ თქვენთან მე ვიქნები სტუმარი ხშირი!... დავებე, წმინდა, შევნიერის ასულის წინა, შანბორებდი მის ფერხთ მტერსა. ტურფავ ხარ ვინა? თუმცა პასუხი მშენიერმა არაა მომცა, მაგრამ ნათელი და სიცხოველ მოკლულს გულსა სცა!...

(\*) მალს ყიზილბაშის მეფენი უწოდებდნენ თავიანთს მოადგილეებს, საქართველოში ზოგიერთ მეფეებს, რომელთაგანაც გვლენა ჰქონდათ.

(\*) ეს დამზობა მიეწერება იმ დროს, როდესაც ალა-მამაღანმა საქართველო აიკლო.

# პოლიტიკა.

**მეხიკიდან მოსული აზიანი.** Opinion National-ში სწერენ: ეს აზიანი 30 დეკემბრის თეიდგან არის. მეორეთ ამორჩეული მეხიკის რესპუბლიკის პრეზიდენტით, ბენიტო ხუარესი 25 დეკემბერს წაიღო კონგრესის შეკრებილებაში. იმას თან ახლდა მინისტრები და სხვა მაღალი თანამდებობის პირნი დასაფიცებლათ. საცა ეს ცერემონია იყო, იქ გაღერეა სულ ხალხით იყო გაესებული. შევიდა თუ არა ზალაში პრეზიდენტი, ამდენმა ხალხმა ხანგრძლივი ტაში დაჭრა. ხუარესი დადგა პალატის პრეზიდენტის გვერდით და, როგორც მეოცდა მცხრე მუხლი კონსტიტუციისა მოითხოვდა, იმ აზრით წარმოსთქვა სიტყვა: „მოველი უფლება წარმოსდგება ხალხიდან და დადგინდება იმის საბედნიეროთ. პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ის გულ-მარად ასრულებს მეხიკის ხალხისგან მინდობილს მოვალეობას, იშრომებს საზოგადო მშვიდობიანობის დასამყარებლათ და ბევრთად დაიცავს კონსტიტუციის აზრსა. შემდეგ კონგრესის პრეზიდენტმა სთქვა, რომ ამ ქვეყანამ სამჯერ დაირჩინა თავისი დამოუკიდებლობაო. ახენა რესპუბლიკის უმაღლესის თანამდებობის პირზე, რომელმაც დაპირდა თავის მოვალეობის ასრულებასა და კონსტიტუციის დაურღვევლობასა, ამასთანავე გამოაცხადა, რომ მმართველობაზე უფრო დიდი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული, მინამ გარეგან საპოლიტიკო საქმეებზე.

## ტელეგრაფები.

ტელისში მიღებული.

**პეტერბურგი, 20 თებერვალს.** მაშინგტონის დეპუტატთ პალატამ დაამტკიცა წინადადება, რომლის ძალითაც სამართალში უნდა მიეცეს პრეზიდენტი ჯონსონის საკავშირო სჯულის დარღვევისათვის.

საზღვარს გარეთ პურის ფასმა დაიკლო. პრინცი ნაპოლეონი ბერლინს მიდის.

**პეტერბურგი, 22 თებერვალს.** პრინცი ნაპოლეონს ბერლინში ელიან, მენაც უნდა, რომ ნახოს; იქვე აქვთ, სწორეთ ამ მგზავრობას დიპლომატიური განზრახვა აქვსო.

პრუსიის „სახელმწიფო მაჩვენებელმა“ გამოაცხადა საკაროლო დეკრეტი უწინდელს მანოევრის კაროლს ბიორგის ქონება ჩამოერთვასო და სახელმწიფოთ შეირაცხოსო, მაგრამ ეს განკარგულება საკავშირო სეიმმა უნდა დაამტკიცოსო. სეიმი შ. გროვდება 7 მარტს.

კონსტანტინოპოლიდან გაცნობებენ, სამხედრო მინისტრის რუშეკ-ფაშის მაგიერად დანიშნეს ბაღდადის გუბერნატორი ნამიკ-ფაშა. ამ ფაშის მოსელამდის ომერ-ფაშამ უნდა მართოს სამხედრო სამინისტრო.

— 19 თებერვალს უმაღლესის ბრძანებით მონარხის განსაკუთრებულის კეთილ მნებებელობის ნიშნად ქავკასიის ჯართ მრავალს ნაწილებს ყოველად უმოწყალებად ებოძა გილდოთ მამაცობისა და გულადობისთვის წმინდის ბიორგის დროშები და წმინდის ბიორგის საკრავები.

**პეტერბურგი, 23 თებერვალს, 4 საათს.** 20 მინ. დღისით. შრანცუხულს სჯულისმდებელ ქარაუსის ყრილობაში, 21 თებერვალს, რუემ ერთი კითხვის პასუხათ სთქვა შრანციას კარგი განწყობილება აქვს გარეშე სახელმწიფოებთან, გორიზონტზედ (თვალის კალო, იგრავლივ რასაც კაცის თვალი დაინახავს გორიზონტი ჰქვიან) ამტყდარი საშიშარი ღრუბლები სრულებით განიფანტენ.

**პეტერბურგი, 26 თებერვალს 5 საათზე.** 30 მინ. დღისით. ბაზეთი „თანამედროვე ცნობები“ გვატყობინებს რომ იენისში პეტერბურგს მობძანდება შრანცუხების იმპერატორი, რომელსაც დიდ დახვედრას უმზადებენ პეტერბურგში; ამ თაობაზედ ქრასნო-სე-

ლსკის მანერებში (ჯარის ვარჯიშობა, თამაშობა) ასი ათასი კაცი უნდა იყოსო.

პოჩტით გასაგზავნი მთავრობის ქორრესპოდენტების ფასზე ახალი სჯული უნდა დაიდოს.

## უხსო მუხის აზიანი.

— ანგლიის კაროლეს „დღიური“. — ლონდონში მიმშლილმა პარიჟის ცხოვრებელმა. — პრინცი ნაპოლეონის გაბუტება თავის ბიძასთან. — პარიჟის თეატრები. — მოლიერის დღეობა. — პრუდონის მოხსენება. — მმართველობის დენა გახეთქისა. — შრანციას უკმაყოფილება მთავრობაზე. — პეტერბურგში ბუნების შეძიებულთ ყრილობა.

დიდი ხანი არ არის, რაც ანგლიის კაროლევამ მიეტარიამ გამოსცა თავისი „დღიური“, რომელშიაც თვითონ კაროლევა ასწერს ძალიან დაწვრილებით თავის შინაურს ცხოვრებას. ეს წიგნი მომავალ ისტორიკოსისთვის ძალიან შესანიშნავია, რადგან იმაში ბევრი იმისთანა რამ ამბავია ანგლიის კაროლევის ცხოვრებელდან, რომელსაც ძნელათ იპოვიან სხვა საისტორიო წყაროებში. მრთი ანგლიის გაზეთის სიტყვით კაროლევის „დღიური“ ჯერ 150 ათას ფეგემლიარამდის გაიყიდა. მარტო შემოსავალი ათი ათასი გირვანქა სტერლინგი შეიქმნა. (გირვანქა სტერლინგი — 6 მან. 50 კაპ). მქვი არ არის, რომ კაროლევა ამ შემოსავალს ლონდონის გაჭირებულებებს დაურიგებს. ამ შემთხვევაში „თი-სი“ ამბობს, რომ შარშან სახელგანთქმული შარვედი სილარბეში მოკვდა და ძალიან კარგი იქნებოდა, რომ მთავრობას მიეცა პენციონათ ღარიბის სწავლულის ქერიისთვის რეასი გირვანქა სტერლინგი, რომელიც უკანასკნელს ჟამს თვითონ შარადეს ეძლეოდა. როდესაც კაროლევა ასწერს თავის მგზავრობას ირლანდიაში, იქ ერთი ღირს-საცნობი შენიშვნაა. პაროლევა სწერს: „მარკში, ირლანდიის სამხრეთით, თითქმის ერთი მესამედი ქალები სახით სულ მშვენიერები არიან. ჩრდილოეთისკენ მშვენიერს ქალს ვეღარ იპოვნი.“ ამ ადგილს ბელფასტი ჰქვიან. ბელფასტში მცხოვრებლები ძალიან ერდგული ყმები არიან მისი დიდებულების კაროლევისა და ერთობ არ იამებოდათ ამისთანა გაკიცხვა იმათი სახისა.

— ლონდონში ძალიან სისაწყულ და სიმშლილმა, გაჩნდა. ამას ამტკიცებს მრავალი მოხსენება პოლიციისა მთავრობასთან. ეს მოხსენება ძალიან გულშესატკივარი რამ არის, ამიტომ რომ მუდამ იმას ამბობენ, ამა და ამ ალაგას მკედარი კაცი ენახეთ; უტყველათ უნდა ეფიქროთ, რომ სიმშლით კედებიან. ეს განზირებული კაცების სიკედილი ნათლად გვაჩვენებს, თუ როგორი გაჭირება უნდა იყოს, ლონდონის დაბალს ხალხში. 22 იანვარს რომ პოლიციამ მოხსენება წარადგინა, იქ ნათქვამია, რომ ამ უკანასკნელს სამს დღეს, მარტო აღდერმენს ორმოც და ათი კაცი დაუტყვრია და ცხეში ჩაუჯდენია იმ აზრით, რომ სიმშლით შეწუხებულებს ამ საწყლებს პურს მიანიც აქმევენო საპრობილეში. ამ 50 კაცში მხოლოდ ერთს ბრმა მოხუცებულს უნახეს ჯიბეში ერთი ანგლიური მანეთი, სხვანი კი ისე შეწუხებულნი იყენენ სიმშლით, რომ მუშაობა ვეღარ შესძლეს და მაშინვე ავით გახდენ. ამ დამშეულელებში გარდა შინა მოსამსახურებისა, რომელნიც სახლიდან დაუთხოვნიან, კიდევ იპოვება დედები ძუძუ-მწოვარი ყმაწვილებით, რომელნიც ითხოვენ სამოყწალოს, რადგან იმათ ქმრებს მუშაობა არ შეუძლიათ. ამ გლახკებში ბევრი მაკლერიც იპოვება, რომელნიც უწინ ბირჟაზე კარგი შეძლებულნი ყოფილან.

პარიჟის ცხოვრები გან. აქამდის პრინცი ნაპოლეონი იმპერატორის ძმისწული იმპერატორზე უკმაყოფილოთ იყო, რადგან შრანციის ჯარი გაგზავნეს რომს და იტალიელების განზრახვა სულ ტყუილ-უბრალოთ ჩაიშალა. პრინცი ნაპოლეონს თავის სიმამრის

მიეტორ-მმანუელის მხარე უტყირავს და იმისი წყენისთვის ბიძას გაებუტა. აქამდის თითქო განდევნილი იყო, მაგრამ ახლა როგორც ამბობენ, იმპერატორს შერიგებია და ურჩევს თავის ბიძას, რომ პრუსიასთან მეგობრობა დაიკიროს და რუსეთს ომი გამოუცხადოს. — სენ-მარტენის თეატრში ძალიან ამბავია. ამ თეატრის დირექტორს შეატყობინეს, რომ ვერაგობას აპრობენო იმის წინააღმდეგ. თეატრის სარდაფში, სადაც გახს აგროვებენ, იქ ერთი ვინღაც კაცი ნახეს, რომელსაც ვითომც სდომოდეს თეატრის ახეთქა. პარიჟის თეატრში აქამდის მოდათ იყო, რომ სცენაზე ხშირათ ტიტველს ქალებს აჩვენებდენ ხოლმე, მაგრამ პარიჟელებს ესეც მოსწყინდათ. მრთმა თეატრმა რომ ვეღარა გაწყვრა, მაყურებლები რომ ძალიან დააკლდა, მერე დაბეტქვინა გაზეთებში, რომ ამა და ამ თეატრში საყმაწვილო პიესებს წარმოადგენენო, რომელსაც კარგი ზნეობითი გავლენა ექნება ნორჩს ბუნებაზე; მექრონიკებმა და რეცენზენტებმა არც იქით სთქვეს-არც აქეთ, იმიტომ რომ გულმა ვეღარ მოუთმინათ თავიდან ბოლომდის უსინდისოთ მოქცეულიყენენ: იცოდნენ, რომ საყმაწვილო პიესების წარმოდგენა ფულის მოსაგროვებლათ არის მოგონებულიო. შრანციასი საზოგადო სიტყვას დიდი მნიშვნენლობა აქვს, ამისგანო თეატრის დირექტორები ვლათ რაცხვენ მექრონიკენი და რეცენზენტები უფასოთ მიიწვიონ ხოლმე თეატრში, რომ შექდევ გაზეთებში იყვირონ ამ თეატრის სასარგებლოთ. ღღესასწაულებზე მრავალი ახალგაზდა დადიოდა თეატრში, რომელსაც სახელად შატელე ჰქვიან. ეს თეატრი კარგი ზნის შემადგენელს წარმოდგენებზე არც კი ფიქრობდა. სცენაზე დასვირობდნენ თავიდან ფეგებამდს გატიტვლებულები. პარიჟელი კორრესპონდენტი რუსის ინვალიდისა აი რას ამბობს: ერთხელ დავესწრე ამ თეატრში, როცა წარმოდგენა იყო. მთელი ანგლიური პანსიონი: ათი ოდენ ახალ-გაზდა ქალი ცხრის და თექვსმეტის წლისა იქ ისხდა. იმათ ახლდათ ორი მოხუცებული ანგლიელი დედა-კაცი. პატარა ხანს უკან სცენაზე გამოცვიდნენ თორმეტზე მეტი სულ გატიტვლებული სურათები: ახალ-გაზდა ქალებმა გარცემით ერთი ერთმანეთს შეხედეს და მერე დაუწყეს ცქერა აი ტიტველს ტანება. ახალ-გაზდა ქალების უფროსებმა არ იცოდნენ, რა ექნათ, ან თულები საით წავლათ. ამ მოხუცებულს ქალებს ვგონათ, რომ როგორც ანგლიაში, აქაც იმისთანა წარმოდგენები იქნებოა. ანგლიაში დღესასწაულებზე იმისთანა პიესებს ადგენენ ხოლმე, რომლებსაც ზღაპრული ხასიათი აქვს და კარგი დარიგებით არიან გასებულნი. რადგან შატელეს თეატრში ერთის წარჩინებულის ანგლიელის მწერლის თხზულებიდან შედგენილს პიესას ადგენდენ პანსიონის მყოლმა დედა-კაცებმა იფიქრეს, ყველას ის ემჯობიებდა, რომ ჩვენი შეგირდი ქალები იქ წაიყვანოთო, სადაც ანგლიური პიესის წარმოდგენა იქნებოა. როდესაც სცენაზე ტიტველი ქალი და კაცი დაინახეს, თავი იწყველეს, აქ რათ წამოიყვანეთ მოწაფენიო; მაგრამ რალას გააწყობდნენ. ამ თეატრის დირექტორს იმედი უნდა ჰქონდეს, რომ მიუცილებლათ მოწაფე ქალები ბევრს რასმე გამოსადევარს ისწავლიდნენ ამ წარმოდგენაში.

პარიჟში დიდის ხნიდან სჩვევიათ ყოველ წელს გადაიხადონ ხოლმე მოლიერის დღეობა. ეს წარჩინებული ფრანცუხული მწერალი ჩვენს მკითხველებს ეცოდინებათ, რადგან ამ მწერლის ზოგიერთი კამედია ქართულს ენახედაც არის ნათარგმნი. შიფთანისგან. ძველმა ორმა სახელ-განთქმულმა თეატრმა ჩვეულეზრივ გადაიხადა ამ წელს მოლიერის დღეობა. ამ თეატრებში, სახელათ „შრანცუხული ძამედია“ და „ოდონი“, ლექსთა ქება წაიკითხეს მოლიერზე და ამასთანავე მოლიერის სურათს გვირგვინი დაადგეს. მოლიერის დღეო-

ბის გარდა ორი სხვა გვარი დღეობა კიდევ გადაიხადეს. ძვირას მეგობრებმა კვლავ შეუდგინეს თადი პატივის მცემლებმა მოიხსენეს ჩვენი დროების გამოჩენილი მწერალი პრუდონი. სულ ორი წელიწადი არ არის, რაც ის მოკვდა. მკითხველების მომეტებულმა ნაწილმა იცის პრუდონის ვინაობა. ეს იყო დაბალი წოდებიდგან გამოვარდნილი, გლახის შვილი, რომელსაც არა ვითარა ღონისძიება არაჰქონია. დიდის გაჭირებებით, შიმშილ-წყურვილის გამოცდით, შეიძინა პირველ-დაწყებითი სწავლა და მერმეთ თავის თავათ შეიქმნა სახელ განთქმული ფილოსოფოსი და დიდი ნიჭის მწერალი. მრთმა რესპუბლიკურმა გაზეთმა დაბეტქა გრძლათ აწერილი იმის ცხოვრება. პრუდონი იყო სვეტი დაბალის და გაჭირვებული ხალხისა. პრუდონმა მთელი თავისი ღონე სულ იმას მოახმარა, რომ როგორმე დაჩაგრული ხალხის ცხოვრება წარმატებაში შეეყვანა. შრანციის მთავრობამ გამოაწყოდინდალი ჯარი პოლიციის მოსამსახურეთა; პარიჟი შემოზღუდა, რომ არეულობა არა მომხდარიყო. 22 იანვრის სენ-შერმის გარეთ უბანში შრანციის კაროლი უბედური ლუდოვიკ XVI მოიხსენეს. ზოგს მკითხველს კარგათ ეცოდინება, რომ წარსულის საუკუნის გასულს შრანციის ხალხმა დასაჯა ეს მეფე სიკედილით და დააწესა რესპუბლიკური მმართველობა....

ახლა პარიჟში საცა არ უნდა გაიხედო, ბუღარზე, ხიდებზე, ქუჩებზე, ყველგან ბიჭბუჭების ყვირილი ისმის „La question Romaine 15 centimes“ (რომის საქმე ხუთმეთ გროშათ ღირსო). მთელს პარიჟს უხარია ამ სათამაშოს მოგონება. როგორც სხანს მთელი პარიჟი დასცინის მთავრობის მოქმედებას რომის საქმის შესახებ. უნდა მოგახსენოთ, რომ ის სათამაშო, რომელსაც ბიჭბუჭები ჰყიდიან არის ორი რგოლი ერთმანეთში გაყრილი. მახსნით გაიხსენება, მაგრამ ისეთ ოსტატურათ არის გაკეთებული, რომ ვინც არ იცის, რაც უნდა ეწვალოს, ვერ გახსნის. რომის საქმე მართლაც ამ ორის რგოლის მგზავსია. რამდენი ხანია მერობა წვალობს და აქამდის ვერას ფრით ვერ გაუთავებია ეს საქმე. ზემოხსენებულის სათამაშოს მომგონებულმა ორს სამს დღეში სამოცი ათასი ფრანკი იშოვნა. მრთი კიდევ ჩასვეს საპრობილეში, იმიტომ რომ ჰყვიროდა: „მეხიკის საქმე ხუთმეთ გროშათ ღირსო“. მთავრობა ძალიან ავიწროებს ხალხსა და სტამბას. ბევრის თქმის ნებას არაივს აძლევს, მაგრამ პარიჟი მიანიც თან და თან ცოცხლდება. ათის წლის წინათ ვინ გაბედვდა იმის თქმას, რასაც ახლა სწერენ და ლაპარაკობენ. შურნალებს და გაზეთებს ძალიან ემტერება მთავრობა, მაგრამ ისინი მიანიც დღითი-დღე უფრო თავისუფლათ უბნობენ და შეუპოვრათ ჰკიცხვენ მთავრობის მოქმედებას.

ამ დენაში გამოიცა ერთი დიდი გაზეთი, რომელიც სრულებით წინააღმდეგია ახლანდელი მთავრობისა. პოლიცია სასტიკათ ეპყრობა გაზეთებს, მაგრამ მიანიც ყოველ დღე ბეტქვენ იმის გასაკაცხავს წერილებსა, საქვეყნოთ გამოაქეთ ურიგო მოქმედება პოლიციისა. ათის წლის წინათ ამას ვერც ერთი ბურჟუა ვერ გაბედვდა; თუმცა იმ დროსაც ისე ექცეოდა პოლიცია ხალხსა, როგორც ამ ჟამად. შიგა-და-ნივ მხარეში უკმაყოფილება ბევრთათ ცხადდება. მთავრობისაგან გამოყვანილს კანდიდატებს დიპუტატებათ აღარ ირჩევენ. რეკრუტის მოსაკრფეს სჯულს ეწინააღმდეგებიან და სთხოვენ მთავრობას, რომ ეს სჯული გააუქმოს. მთავრობამ თავის გარეგანი დიდება დაჭკარვა და ყველას სამიძიმოთ შეექმნა. შევლა გრძნობს, რომ უტყველად, რამე უნდა მოხდესო. 1868 წელს 8 აპრილს იმპერატორი განდებდა 60 წლისა. რადგან მთავრობა შინაურს გამგეობაში თავისუფლების მომატებას არ აპრობს, ამისთვის ერთილა საშუალება დარჩენია, რომ ხალხი გართოს:

ეს საშუალება გახლავთ ომიანობის დაწყება. ახლა პარიზის ცხოვრებებიდან მივსწვდეთ პეტერბურგს და მივაქციოთ განსაკუთრებით ყურადღება იმის გონიერს ცხოვრებას, რომელიც თან-და-თან ვრცელდება არა თუ მარტო დედა ქალაქში, არამედ რუსეთის ხალხშიაც. **მ**უ კაცი სიმხნით მიჰყვება თავის გონების ვარჯიშობას, ეჭვი არ არის, ის მალე მოიძიებს თავის ჭკუა-გონების ნაყოფსა. ამ შემთხვევაში მთელი ხალხი ერთი კაცის მგზავსია. უნდა ვთქვათ, რომ ამ უკანასკნელს ჟამს რუსეთის ხალხის განათლებულმა ნაწილმა დიდი სიმხნით მიჰყო ხელი თავის გონების ზრდას და განათლების გავრცელებას. არც სიმრავლე, არც თოვნი-არალი ერთობ არ ამტკიცებს ხალხის ძლიერებას. ამის დამამტკიცებელი ურფო განათლება; მაშინ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რუსეთის ხალხმა გაიღვიძა და დაიწყო თანდათან გაძლიერება. მართს ამის დამამტკიცებელს მაგალითს მეც მოგიხსნათ. იანვრის დამდეგს პეტერბურგში მოხდა ბუნების-მეცნიერებელთა უკანასკნელი ყრილობა. ამ ყრილობაშიაც ისე ბევრი საზოგადოება იყო, როგორც ორს წინანდელს ყრილობაში. საზოგადოება დიდს ყურადღებას აქცევდა სწავლულების ლაპარაკსა. ძათედარზე პირველად უ. იუნგე ავიდა. იმან დაიწყო ლაპარაკი, თუ სწავლას რამდენი ახალი ჭეშმარიტი ცნობა მოუქცია. ბანსაკუთრებით ბუნების მეცნიერებაზე და საენო მეცნიერებაზე (языковедение) უბნობდა. იმან განიხილა სხვა და სხვა სწავლულების აზრი, თუ რამდენათ სასარგებლოა ახალ-მოაწველეთათვის კლასიკური ენების სწავლება. იუნგე შეეხია ამ საგანზე დაწერილ ჯონ სტუარტ მილის სტატიასა. მკითხველებმა იცინან, რომ სტუარტ მილისთანა ბევრით სწავლული ჩვენ დროში თითქმის არაინ არის. ეს კაცია ანგლიელი და ამტკიცებს, რომ კლასიკური ენების სწავლება იმითა შესანიშნავია, რომ ნორჩს გონებას ავითარებს და ზრდის. მილი ამბობს, რომ ბერძნულს და ლათინურს ენებს ასეთი სრული და ბევრითად შემუშავებული ლექსათ-თხზვა აქვს, რომ იმისი განხილვა ყმაწვილის გონებას ავარჯიშებს და შეათვისებს ბევრითა აზრობასა. **უ.** იუნგე ვწინაღმდეგა მილის აზრსა და იმის მიზეზიც გამოაცხადა, თუ ევროპელებს ასე რათა ჰგონათ. მიზეზი ის არის, რომ ყველა ევროპული ენები მრავალ-გვარი ლექსათ-თხზვით ძალიან ღარიბნი არიან. იმათი ლექსათ-თხზვა სულ ერთ გვარია. ამ შემთხვევაში ჩვენ რუსები უფრო ბედნიერნი ვართო. სლოვენო-რუსული ენა თვისის ლექსათ-თხზვის სიმდიდრითა, მრავალ-გვაროვნებით და სრული დალაგებით ბევრათ სჯობია ევროპულს ენებს და უფრო უახლოვდება ბერძნულს და ლათინურს ენებსაო. **მ**უ მართლა ენის ღირსება ამაში მდგომარეობს, მაშინ ჩვენ ქართული ენა ყველას სჯობნება. ლექსათ-თხზვის მრავალ-გვაროვნობით რუსული ენა ქართულს არ შეედრება. სხმით გარდასვლითი და მრჩობლ-სხმით გარდასვლითი სახე მხოლოდ ჩვენს ენაშია. არც ერთს ენაზე არ ითქმის ერთი ზმნით მთელი აზრი. ჩვენ ვამბობთ, „ვაწერინებ“, რუსულათ ამის თქმას მთელი წინა დადება უნდა. სხვა დასავლეთის ენებშიაც ასეა.

იმის დასამტკიცებლათ, რომ რუსული ენა უფრო დახლოვებულია კლასიკურს ენებზე, იუნგეს მოჰყავს ორი თარგმანი პომერის პოემისა: ერთი ნემეცურათ შოლისსა, მეორე რუსულად ბენდიჩისა. **მ**უმცა შოლის ძალიან ბევრითად და სინილისანათ უთარგმნაო, მაგრამ, რაც თვითონ ნამდიდოს თხზულებას სიმშვენიერე აქვს, იმის მესამედიც ვერ გადაუღია ნემეცურს მთარგმნელსა; რუსული თარგმანი ბენდიჩისა კი უფრო უახლოვდება ნამდიდოს თხზულებას და თითქმის სრუ-

ლებით აღმოხატავს იმასა. ამისთანა სიმდიდრე და სისრულე საშობლო ენისა გვიამედებს, რომ როცა ახლად გახსნილი ფილოლოგიური ინსტიტუტი, რომელსაც აზრათ სალინგვისტო მეცნიერების გავრცელება აქვს, და ჩვენი სწავლულები და რუსის საზოგადოების სიყვარული თავის ენისადმი კიდევ უფრო შეამუშავებს რუსულს ენას, მაშინ ეს ჩვენი ენა შეკლებიდან თან და თან განდევნისო მკედარს რომაულს და ბერძნულს ენას. რუსის ჭაბუკობა თავის აზრს გააკეთებს ამ ენის მდიდარს და მრავალ-გვარის ლექსათ-თხზვის განხილვითა. აქამდის ჩვენს ენას არაფრათ დასდევდითო და მაღალი წოდება ჩვენი საზოგადოებისა იმითი იცნობდა, რომ მშვენიერი პარიჟელი გამოთქმაჰქონდაო და ცუდათ ლაპარაკობდა თავის სამშობლო ენაზე. მაგრამ ის დრო თანდათან გადის, როცა ჩვენი ენის დროა შორს, როცა დიდის თვითარსებობით და სიყვარულით მიეყოფთ ხელს იმას, რითაც მართლად უფრო მდიდარი და ძლიერი ვართო ევროპის ხალხზე.

**უ.** იუნგეს შემდეგ ილაპარაკა სოვეტოვმა იმაზე, თუ რამდენათ ძლიერი მოქმედება აქვს ბუნების მეცნიერების გავრცელებას მეურნეობის გამჯობინებაზე. ხალხი ყველაზე უფრო დაახლოვებულია ბუნებასთან და ის მეცნიერება, რომელიც ჰსენის ბუნების მრავალს გვარს მოვლინებთა, ძალიან სასარგებლოა იმის ზნეობითის და წიფითის ცხოვრებისთვის. ბევრს ძალიან სასარგებლო განკარგულებას მოახდენს ხოლმე მთავრობა ხალხის საკეთილდღეოთ, მაგრამ ხალხს სრულებითაც არ გავება ამ განკარგულების მნიშვნელობა. როდესაც ხალხი გაიცნობს ბუნების მეცნიერების უმთავრესს ჭეშმარიტებას, შემდეგ გონებაც უფრო გაეხსნება და უფრო გულ-და-ნდობითაც მიიღებს ამ ზოგიერთს კარგს განკარგულებებს, რომელთაც ამ ჟამად ცუდის თვალთ უტკერის. სიმამკობა სთქვა, მარტო სახალხო წიგნების გავრცელებით კი არ უნდა გავაცნოთ ხალხი ბუნების მეცნიერებასა, არამედ ეს მეცნიერება უნდა შევიტანოთ სახალხო შკოლებში და ახალ გაზდა შთამომავლობას უნდა, ვასწავლოდ. ძითვის უჩვევი ხალხი სახალხო წიგნებს არაფრათ დაეძებს. ამის გამო დიდი მეცადინეობით შეუდგეთ სახალხო შკოლებში ბუნების მეცნიერების სწავლებასა. სიმამკობა შემდეგ ზდკაურმა მოკლე და ჭეშმარიტებით საესე სიტყვით წარმოასთქვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის საზოგადო და სახელმწიფო ცხოვრებაში ბუნების მეცნიერებას და სხვათა შორის პირაგოვის ქველმოქმედებაც მოიხსენა: პირაგოვის სახელის ხსენებაზე მთელმა საზოგადოებამ ტაში დაჰკრა. ეს ამტკიცებს იმას, რომ რუსის საზოგადოება არ ივიწყებს იმისთანა პირებს, რომელთაც რამე სარგებლობა მოუტანიათ რუსეთისთვის.

**შ**ემდეგ უ. ბეკეტოვი წამოგდა და წაიკითხა წინადადებანი, რომელნიცა შემოიტანეს ამ ყრილობის სხვა-და-სხვა განყოფილებათა, რომ მინისტრს ნება სთხოვონ, ყველა რუსის უნივერსიტეტებში დადგინონ ბუნების მეცნიერთ საზოგადოება იმავე გვარათ, როგორც მოსკოვის უნივერსიტეტშია დაწესებული. ბერეთვე წაიკითხეს უფ. მინოგრალოვის აზრი, რომ გამოსცენ საბუნებო-ისტორიული ჟურნალი რუსეთის ბუნების მეცნიერთ ორგანოთ. ამ წინა დადებებს ყველანი თანხმა გაუხდნენ.

**ბ**ოლოს ამ ყრილობის თავს-მჯდომარემ უფ. პესლეგმა ურჩია წევრებს, მინისტრთან იშუადგომლონ, რომ ბუნების მეცნიერების მეორე შემოკრება მოხდეს 1869 წელს 1-ლს აგვისტოს მოსკოვში. იმან მადლობა შესწირა საზოგადოებას და რუსის სწავლულებს, რომელთაც ამ ყრილობას თანაგრძნობა გამოუცხა-

დეს და გაათავა იმითი, რომ ისურვებუნებითი სწავლის წინწახლა რუსეთში რუსეთის ხალხის სადიდებლათ და სასარგებლოთ. საზოგადოება ცხარი ტაშის კერით მიეგება პატივცემულის პროფესორის სიტყვებსა.

**მ**ს საზოგადო ყრილობა ბუნების მეცნიერთა იყო უკანასკნელი. მეორე დღეს განყოფილებებში მოხდა ყრილობა და შემდეგ, სწავლულთ შეკრებილება დაიშალა. ბევრი კარგი აზრი წარმოითქვა ამ შეკრებილებაში და ამან ნათლად დაგვიტკიცა, რომ ახლა რუსეთში ბუნების მეცნიერება ძალიან წარმატებაშია. როდესაც ამ გონიერებით საესე ცხოვრებას შედარებ ჩვენს ჩამქრალ ცხოვრებასთან, სწორეთ ეს მწარე სიტყვები მოგაგონდება: ნუთუ ისე უნდა ჩაჰქრეს ჩვენი ცხოვრება, რომ კაცობრიობის განათლებაში იმანაც ნათელი კვალი არ დაჩინოს? . . .

XX

სახაზრო განცხადება.

სამაზრო სანტენდ ნტო სამმართველო გამოაცხადებს, რომ ამ 1868 წელს პოდპოდნის მისადგომიდან (пристань) შუბანის მაზრის მალაზიებში გადასატანია პრაივანტი, სახელდობ: სესუბის მალაზიაში, 5500 ჩეთვერი ფქვილი, 6425 ჰილოფი. **ღ**ახოვის მალაზიაში 1500 ჩეთვერი ფქვილი, 1350 ჰილოფი. **მ**აიკოფისაში, — 7800 ჩეთვერი ფქვილი, 4950 ჰილოფი. **მ**კატერინოდარისაში 13000 ჩეთ. ფქვილი, 400 ჩეთვერი კრუპა და 15000 ჰილოფი. **შ**ირიმისაში, 11,500 ჩეთვერი ფქვილი, 1000 ჩეთვერი კრუპა, 8500 ჰილოფი. **შ**მანის მალაზიაში 2000 ჩეთვერი ფქვილი, 4500 ჰილოფი. **ს**ტარო — შერბინოვის მალაზიაში, 7700 ჩეთვერი ფქვილი, 600 ჩეთვერი კრუპა, 8015 ჰილოფი. **ს**ულ, ფქვილი 49,000 ჩეთვერი, 2000 ჩეთვერი კრუპა, 48,780 ჰილოფი. **შ**ილოფები პრაივანტან უფასოთ უნდა გადაიტანონ.

**ბ**ადატანა უნდა დაიწყო, მაშინვე, როგორც ქუერ-ბელების მოადგებიან (ღონე) პოდპოდნის მისადგომთან ამ წლის 15 მაისს. პრაივანტის ნახევარი ამ წლის 1-ლს იენისამდი უნდა გადაიტანონ და ნახევარი ამ წლის 1-ლს ოკტომბრამდის. იჯარადარს ამაზე აღრცე შეუძლიან გადატანა, თუ კი ქუერლები თავის დროზე მოადგებიან და არა დაბარკოლებს. ამ პრაივანტის გადასატანათ ვაჭრობა 13 მომავალს მარტს არის დანიშნული ზეპირათ და დაბეჭდილი პაკეტებითაც. **ღ**ჭვირ-ლებითი ცნობა ამაზე იხილეთ „ძაგვანის“ ოცდა მეოთხე ნუმერში.

**მ**არაზის გუბერნიის სამმართველოში 12 მომავალს მარტს დანიშნულია ვაჭრობა იჯარით ასაღებათ ზახის მიწებისა, რიცხვით 305 დესეტინა 2299 კვადრატის საყენი, რომელიც მდებარებს შახა-მაიაზეთში. მისაც ჰსურს შევაჭრება, მოეუწოდებთ გუბერნიის სამმართველოში კეთილ-საიმედო გირაოებთა, სადაც შეუძლიან იხილონ კონდიციები ამ იჯარაზე.

**ა**პაპანის სამხედრო ოკრუგის საინჟინერო სამმართველო გამოაცხადებს, რომ ამ წლის 14 მარტს უნდა მოხდეს ვაჭრობა 202 საყენ. და 10 ვერსოკის, შეშის დასადგმელათ, რომელიც ეკუთვნის 155 შაჯის ქვეთის პოლკს. ეს შეშა უნდა მომზადდეს მარტიდან ამ წლის სექტემბრამდე.

**მ**კრობა მხოლოდ დაბეჭდილ განცხადებებით მოხდება. **ბ**ანცხადება ორ აბაზან ღერბის ქალაქზე უნდა იყოს დაწერილი. **ს**ხვა დაწვრილებითი ცნობანი იხილეთ „ძაგვანის“ მეოცდა-მეოთხე ნუმერში.

სამაზრო ამბები.

ძაგვანისადგან „გადმოცხადებთ მოკლე ცნობას, თუ როგორი ვაჭრობა იყო ტფილისში წარსულ წელს. ამასთანავე მოვიხსენებთ ზოგიერთ ძაგვანის სახელობო საგნებს საზოგადოთ.

გატანილა.

რადგან ჩვენ ქვეყანაში აბრეშუმის ავათ-მყოფობა იყო, ამისგანო აბრეშუმეულობა ჩვენი მხრიდან ბევრი არ გატანილა. რამდენათ მართალია არ ვიცით, მაგრამ ვაზეთი „ძაგვასი“ ამტკიცებს, რომ შრანციაში გატანილა ორი ათასს ფუთამდის მარტო აბრეშუმის პარკი. **ღ**როსა და **ღ**როს განმავლობაში ნუხიდან კიდევ უნდა ვაზიდონ 800 ფუთი. **შ**ამოსულის პარკის ფუთში აძლევდნენ ოცდა ათ მანეთს, გამოუსვლელში კი ორმოცდაათს.

ბულაური ძალიან ცოტა გატანილა წყურპო იმისთვის, რომ ამის მოთხოვნა არა ყოფილა. ნუხის დასაწყობში ჯერ კიდევ 4000 ფუთია და იმის მყიდველიც არაინა სჩანს.

**აბრეშუმი.** აბრეშუმით რამდენი გატანილა, იმას უფრო ვერ ვიტყვით ნამდილათ, ამისთვის რომ როცა წყლით სიარულია გამართული, მაშინ აბრეშუმი ბაქოდან და ასტრახანიდან მოლგის მდინარით მიაქვთ მოსკოვს. როგორც „ძაგვასი“ ამბობს, ბაქოდან ასტრახანით 260 ცალი მოსკოვს წაუღიათ. **მ**ითო ცალში 7 ფუთია. „**ტ**ფილისით და **მ**ლადიკავაზით მოსკოვს 60 ცალი წაუღიათ; საზღვარს გარეთ კი 30 ცალი. ამ წლის პირველს იანვარს ნუხის დასაწყობში 200 ცალი დარჩა და ძალიან სუსტათ იყიდება.

**ბამბა.** **მ**უმცა ამ უკანასკნელს ჟამს საზღვარს გარეთ იმდენათ არ ფასობდა ჩვენბური ბამბა; მაგრამ იმის ვაჭრობა მაინც გაოცხლდა. მარტო მრეწვის ბამბა 32,000 ფუთი გაიტანეს, თუმცა ის თანდათან იაფდება.

**ი**ელისში ფუთი — 5 მანეთი და 80 კაპ. **ა**გვისტოში — — 5 — — და 50 — **მ**ნკენისთვეში — — 5 — — — 20 — **ზ**იორგობისთვეში — 5 — — — — **ნ**ოენბელში — — — 4 — — — 20-გან 4 **ღ**ეკენბერში 3 მან. და ექვს შაურათ და აგრეთვე 3 მან. 20 კაპ. — **უ**წინ ძაგვანის იქითა მხრიდან გამოჰქონდათ ორგვარი ბამბა, ერთი ხელით გარჩეული და მეორე მაშინით; პიველი უფრო ძვირათ ღირდა, ერთი აბაზით ან ორით უფრო მეტს აძლევდნენ მეორეზე. წარსულ წლის გასულს მხოლოდ მაშინით გარჩეული ბამბა გაჰქონდათ.

**მატალი** აქაური არ მიჰქონდათ საზღვარს გარეთ, ნაკლებ ფასათ ისყიდებოდა და ცოტა. ამ ზაფხულს სამეგრელოში დიდძალი მატყლი გავიდა. **მ**უმურს მატყლში აძლევდნენ ფუთში 4 მ. 50 კაპ. თათრის მატყლში 2 მან. 50 კაპ. ამ მატყლს ახლა მანეთად და ოთხ აბაზათ იშოვიან.

**ა**პალის **ა**შნძები, დიდი ხანია, რაც ნაკლებათ გადიოდა; როგორც სჩანს, წარსულის წლიდან ისე დაიწყეს ამის გატანა. **ტ**ფილისით გატანილა 10 ათასი ფუთი; ამას გარდა დიდძალი კუნძები **ღ**ადისტნიდან გატანილა საზღვარს გარეთ ასტრახანით და როსტოროვით.

**ს**პილენძი და კობალტი 3,000 ფუთამდის გაუტანიათ. **ს**პილენძის ფუთი 11 და 12 მანეთად ფასობს.

**ს**ხერის ტყავი 4,500 ფუთამდის გაიტანეს. ამ მატყლის მომეტებული ნაწილი **მ**დესაში გადის. **ტ**ფილისში თითო ტყავი ორ აბაზათ, ზოგი ოთხ აბაზათ იყიდებოდა.

**შ**ემოხსენებულს ფულს რომ მიუმატოთ ის ფული, რომელიც წარსულის წლის პირველს ექვს თვეს ვაჭრობისგან შეგროვდა სულ მთელი ვაჭრობა აი რამდენს შეადგენს:

|   |                   |
|---|-------------------|
| მრეწვის ბამბა   | — — — — — 122,000 |
| მუთისის   | — — — — — 16,000  |
| სხერის ტყავი  | — — — — — 3,300   |
| აკლის კუნძები   | — — — — — 10,600  |
| სპარსეთში გატანილი სპილენძი   | 3,000             |
| სპილენძი და კობალტი მეროპაში  | გატანილი 6,000    |
| აბრეშუმი მოსკოვში წაღებული  | 2,240             |
| — — — — —   | 210               |
| პარკები   | — — — — — 2,000   |
| ჩვენ არ შეგვიძლიან მოვიხსენოთ სხვა საგნები, რომელიც ცოტა-ცოტათ გაჰქონდათ, და ამთში ზოგს ტფილისშიაც არ გაატარებდნენ. |                   |

(შემდეგი იქნება)